საკონკურსო განცხადება

მცხეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს -ქალაქ-მუზეუმ, მცხეთაში კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე:

- ინდივიდუალური სახლის ფასადი
- კორპუსი 1
- კორპუსი 2
- ღობე (ოპიზართან)
- სკვერი

სახლების არქიტექტურული იერსახე უნდა დაპროექტდეს მცხეთურ ტრადიციულ სტილში. ასევე კეთილმოსაწყობია ამ სახლების მიმდებარე ღობეები და რეკრეაციული ზონა (სკვერი)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას კონკურსანტი პირის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს:

პროექტის შემადგენლობა

1. **არქიტექტურული ნაწილი:**
   - რენდერები და ფოტო მასალა
   - ფასადი მასშტაბი 1:100
   - დეტალიზაცია მასშტაბი 1:10
   - შაბლონი
2. **კონსტრუქციული ნაწილი:**
   - საჭიროების შემთხვევაში სახურავის გამოცვლის პროექტი
3. **ხარჯთაღრიცხვა**

კორპუსების ფართები

პირველი კორპუსის ფართი–360 მ^2

სახლი–300 მ^2

მეორე კორპუსის ფართი–675 მ^2

ღობე (ოპიზართან)–260 მ^2

სკვერი (კორპუსებთან)– 1520 მ^2

საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის კონკურსანტი პირი იხდის საფასურს

-50 ლარს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს ბანკ „რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: 220101757

მიმღები: ს.ს.ი.ა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მიმღების ანგარიში №105917185

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

1. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
2. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
3. კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
4. საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ზემოაღნიშნული მონაცემების დარღვევით გაცემული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კონკურსანტი პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. საკონკურსო წინადადების წარდგენის ვადებია გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღე, ხოლო წინადადების მიღებიდან 3 სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინონ „წინა ესკიზური პროექტები", საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო წინანადების ფასი, საბოლოოდ საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლარად და პლიუს ელექტრონული ვერსია, ხოლო გამარჯვებულმა კონკურსანტმა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს დასრულებული პროექტი.

საკონკუსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ზემოთმითითებული პირობებით გათვალისწინებულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სავარაუდო ღირებულებაა 23 660 (ოცდა სამოცდათას ექვსას სამოცი) ლარი.

მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის №73
ტელ: 51-26-96